MES 6 15 00157422

02/03/2015

ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსს ეკატერინე ხუციშვილს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2015 წლის 27 თებერვლის №151583 წერილის პასუხად, რომელიც ეხება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლის მიერ სხვადასხვა საკვები პროდუქტის (სავარაუდო ღირებულება – 410,60 ლარი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების ნებართვას გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლამ, ტენდერის პროცედურების დასრულებამდე, განახორციელოს ზემოაღნიშნული შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ,,შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადებს".

ამასთან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ,,პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას".

პატივისცემით,